ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N93

2021 წლის 16 დეკემბერი
ქ. ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსების პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსების პროგრამა“ დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს 2022 წლის 01 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მოქმედების სფერო და მიზანი

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსების პროგრამის (ტექსტში შემდგომ - „პროგრამა“) ფარგლებში ფინანსდებიან წინამდებარე პროგრამის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებებში მონაწილე ახალგაზრდები (29 წლამდე ასაკის) და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლების მოსწავლეები, ასევე სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილე გუნდები.

2. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს:

ა) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ქვეყნის მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას;

ბ) ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზებას.

მუხლი 2. პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდებისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის შესაძლებელია დაფინანსდეს:

ა) მუნიციპალიტეტის გარეთ, ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე მიწვევა (პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირების ხარჯი);

ბ) სპორტული ფორმების შეძენა და გამარჯვებულთა დაჯილდოება - სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილე გუნდებისთვის;

გ) კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობა;

დ) სოციალურ–საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა.

მუხლი 3. პროგრამის ადმინისტრირება და კონტროლი

პროგრამის ფარგლებში დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და თანხის მიზნობრივად ხარჯვას აკონტროლებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, საფინანსო სამსახურთან ერთად.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების ვადები

პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. შეფასების კრიტერიუმები

პროგრამის შეფასების კრიტერიუმებია ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობა და ქვეყნის მასშტაბით გასამართ სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის უზრუნველყოფა.

მუხლი 6. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის დაფინანსების წყაროა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

მუხლი 7. დასკვნითი დებულება

პროგრამაში ცვლილებების ინიცირება შეუძლია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს დამოუკიდებლად ან ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე.